კვირა
7 ნოემბერი
1954 წელი
№ 89 (791)
ფასი 20 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავი

ამხ. მ. ზ. საბუროვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1954 წლის 6 ნოემბერს

დღეს საბჭოთა კავშირის ხალხები და მთელი მსოფლიოს მშრომელები დღესასწაულობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს. ამ რევოლუციით დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ერა — თავისუფალ, მშვიდობიან და ბედნიერ ცხოვრებაზე კაცობრიობის გადასვლის ერა.

ოცდაჩვიდმეტი წლის წინათ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, კაცობრიობის გენიოსის ვ. ი. ლენინის მეთაურობით ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში მოახდინა სოციალისტური რევოლუცია. რევოლუციის გამარჯვების შედეგად დაემხო მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელისუფლება და შეიქმნა მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. ჩვენი ხალხი გახდა თავისი ბედის ნამდვილი ბატონ-პატრონი, ახალი, თავისუფალი ცხოვრების შეგნებული შემოქმედი.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიადი ძალა და უძლეველობა ის არის, რომ მან მშრომელ მასებს მისცა შესაძლებლობა სრულად გამოიჩინონ მთელი თავიანთი ნიჭი, მთელი თავიანთი შემოქმედებითი როლი, როგორც ისტორიის ნამდვილმა შემქმნელებმა. ოქტომბრის რევოლუციამ და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებამ ცხადყო, რომ სწორედ ხალხთა ფართო მასებს ეკუთვნით გადამწყვეტი როლი ძველ სამყაროზე გამარჯვებაში, სოციალისტური საზოგადოების შექმნაში.

ოქტომბრის რევოლუციას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის. მან მსოფლიოს ყველა ჩაგრულ ხალხს უჩვენა იმპერიალისტური მონობისაგან განთავისუფლების გზა, ყველა ქვეყნის მშრომელთა შეგნებაში განამტკიცა რწმენა თავიანთი ძალებისადმი და თავიანთი საქმის გამარჯვებისადმი.

ყველა ქვეყნის ხალხთა ხსოვნაში მუდამ ცოცხლობს იმის შეგნება, რომ ოქტომბრის რევოლუციამ აღმართა მშვიდობის დროშა და უჩვენა პირველი მსოფლიო ომიდან გამოსვლის გზა. პირველი, რაც საბჭოთა ხალხმა გააკეთა, როცა ხელში აიღო ძალაუფლება, ის იყო, რომ მიიღო დიდი ლენინის მიერ წამოყენებული ისტორიული დეკრეტი ზავის შესახებ.

ჩვენი სამშობლოს ხალხები, რომლებიც დარაზმული არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დიდი ოქტომბრის 37-ე წლისთავს ხვდებიან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობის ვითარებაში. საბჭოთა ხალხის წარმატებანი ახარებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, განამტკიცებენ მთელი მსოფლიოს ხალხთა სოლიდარობას, მათს საბრძოლო ერთიანობას მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში.

* * *

ოქტომბრის რევოლუციის 36-ე წლისთავის შემდეგ გასული წლის მანძილზე საბჭოთა ხალხმა ახალი წარმატებანი მოიპოვა კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში. ეს წარმატებანი ცხადყოფენ, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, რომელიც დამყარებულია საზოგადოებრივი განვითარების კანონების ღრმა ცოდნაზე, მიმართულია საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომი მძლავრი განვითარებისაკენ, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ.

საბჭოთა ხალხის გმირული შრომა უზრუნველყოფს ჩვენი სოციალისტური მრეწველობის განუწყვეტელ ზრდას. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა სამრეწველო პროდუქციის გადიდებას ხუთ წელიწადში დაახლოებით 70 პროცენტით. ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულება ცხადყოფს, რომ უკვე ოთხ წელიწადში (1951-1954 წლებში) სამრეწველო პროდუქცია 1950 წელთან შედარებით 63 პროცენტით გადიდდება. ეს ნიშნავს, რომ ხუთწლიანი გეგმა მრეწველობაში ვადამდე შესრულდება. აგრეთვე ვადამდე შესრულდება რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვის ხუთწლიანი გეგმა.

1954 წლის განვლილ 10 თვეში ჩვენმა მრეწველობამ სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. სამრეწველო პროდუქციის წარმოება ამ ხნის განმავლობაში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12 პროცენტზე მეტით გადიდდა.

დიდი ლენინი, ამუშავებდა რა ძირითად დებულებებს კომუნისტური საზოგადოების აშენების გზების შესახებ, აღნიშნავდა, რომ მძიმე მრეწველობა სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია, რომ თუ მძიმე ინდუსტრია არ იქნა, არ შეიძლება ახალი, სავსებით თანამედროვე ტექნიკით აღვჭურვოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი და შეუძლებელია უზრუნველვყოთ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა, თავისთავადობა. ამიტომ ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა იღებენ ღონისძიებებს, რომ ლითონისა და ელექტროენერგიის წარმოება, სათბობის მოპოვება და მანქანების წარმოება სწრაფი ტემპით ვითარდებოდეს. თუ 1954 წელს ჩვენი ქვეყნის მთელი სამრეწველო პროდუქცია 1940 წელთან შედარებით 2,8-ჯერ დიდდება, მძიმე მრეწველობა ამავე ხნის განმავლობაში 3,4-ჯერ იზრდება.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდის უმნიშვნელოვანესი პირობაა ჩვენი ქვეყნის შემდგომი ელექტროფიკაცია. 1954 წელს გამომუშავებულ იქნება სამჯერ მეტი ელექტროენერგია, ვიდრე 1940 წელს. მეხუთე ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე ამუშავდა მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები: ზემო სვირის, ციმლიანსკის, უსტ-კამენოგორსკის, გიუმუშის, მატკოჟნენის, მინგეჩაურის და ნაწილობრივ კამისა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ვოლგაზე მსოფლიოში უდიდესი ჰიდროსადგურების — კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. შენდება ჰიდროელექტროსადგურები ანგარაზე, ობზე და სხვები.

მძიმე მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებაში მოპოვებულ წარმატებებზე დაყრდნობით პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს ფართო პროგრამა სახალხო მოხმარების საგნების წარმოების აღმავლობისა, რათა უახლოეს წლებშივე სრულად დავაკმაყოფილოთ მშრომელი მასების მზარდი მოთხოვნილებანი. მიმდინარე წელს უკვე დაიწყო ამ პროგრამის პრაქტიკული განხორციელება. 1954 წელს გამოშვებულ იქნება 5,5 მილიარდ მეტრზე მეტი ბამბის ქსოვილები, 6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1953 წელს და 43 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს; შალის ქსოვილები — 242 მილიონი მეტრი, 17 პროცენტით მეტი, ვიდრე 1953 წელს და 56 პროცენტით მეტი, ვიდრე 1950 წელს; აბრეშუმის ქსოვილები — 520 მილიონი მეტრი, 30 პროცენტით მეტი, ვიდრე 1953 წელს და 4-ჯერ მეტი, ვიდრე 1950 წელს. მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად დიდდება სახალხო მოხმარების სხვა საქონლის გამოშვებაც.

პარტია და მთავრობა ამოცანადისახავენ კიდევ უფრო მეტი რაოდენობით იქნას გამოშვებული სამრეწველო და სასურსათო საქონელი და ამასთან მაღალი ხარისხისა.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობის ისტორიული ამოცანის გადაწყვეტაში მთავარი რგოლია ის, რომ უზრუნველვყოთ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ყოველი ღონისძიებით განვითარება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წელი) თებერვალ-მარტისა და ივნისის (1954 წელი) პლენუმების გადაწყვეტილებებში დასახულია აუცილებელი და გადაუდებელი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის სწრაფ ზრდას. ამ ღონისძიებათაგან უმნიშვნელოვანესია ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდება, მიწისა და მანქანების უფრო სრულად და რაციონალურად გამოყენება, ნაყოფიერი ყამირი და ნასვენი მიწების დიდი მასივების ათვისება, მარცვლეულის წარმოების გადიდება, მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდა, საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობაში მტს-ების როლის გაძლიერება და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ყოველი ღონისძიებით განვითარება. უდიდესი როლი უნდა შეასრულოს კოლმეურნეობათა შემდგომმა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებამ. ამ ღონისძიებათა განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს უმოკლეს ვადაში აღმოვფხვრათ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ზოგიერთი დარგის ჩამორჩენა.

საბჭოთა ხალხი, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, განსაკუთრებული ენთუზიაზმით იბრძვის ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში ნებაყოფლობით წავიდა და კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობას შეუდგა 150 ათასზე მეტი კვალიფიციური მუშა, ინჟინერი, აგრონომი და ზოოტექნიკოსი. საბჭოთა მთავრობა წლითიწლობით აძლიერებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის ტექნიკურ აღჭურვას, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში გზავნის დიდძალ უახლეს ტექნიკას. მარტო 1954 წლის ცხრა თვის მანძილზე სოფლის მეურნეობამ მიიღო 134 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), 81 ათასი სატვირთო ავტომობილი, 26 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 19 ათასზე მეტი სატრაქტორო და თვითმავალი სათიბი მანქანა, 9 ათასი კარტოფილასაღები კომბაინი, აგრეთვე დიდი რაოდენობით სხვა მანქანები.

წელს ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ნათესი ფართობები ჩვენს ქვეყანაში 1954 წელს 13 პროცენტით გადიდდა 1950 წელთან შედარებით. მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში (სამხრეთი უკრაინა და ვოლგისპირეთის რაიონები) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლისათვის ამინდის არახელსაყრელი პირობები შეიქმნა. მიუხედავად ამისა, მოსავლიანობის გადიდების და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების იმ ფართო პროგრამის განხორციელებით, რომელიც პარტიამ და მთავრობამ შეიმუშავეს, მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალი 1954 წელს რამდენადმე მეტი იქნება, ვიდრე 1953 წელს. დასავლეთ ციმბირის რაიონებში პური ერთიორად მეტი მოვა შარშანდელთან შედარებით, აქედან ალტაიში — თითქმის 4-ჯერ მეტი, ხოლო ყაზახეთის რესპუბლიკაში — დაახლოებით 35 პროცენტით მეტი.

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მიმდინარე წელს სახელოვანი შრომითი გმირობა გამოიჩინეს. მათ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ახალი მიწების ათვისების სახელმწიფო გეგმა, რომელიც მთელმა ხალხმა მოიწონა. ყაზახეთის, ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გეგმა, რომელიც დაწესებული იყო 1954-1955 წლებისათვის, წელს 120 პროცენტით შესრულდა. მოხნულია თითქმის 17 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწები, ხოლო ყამირ და ნასვენ მიწებზე თესვის გეგმა შესრულებულია 157 პროცენტით. გაითვალისწინეს რა შეძენილი გამოცდილება და რეალური შესაძლებლობანი, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება — მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის სამუშაოები. დასახულია დიდი მნიშვნელობის ამოცანა — უკვე 1956 წელს ავიყვანოთ ნათესი ფართობები ახლად ათვისებულ მიწებზე 28-30 მილიონ ჰექტარამდე. ნათესი ფართობების ასეთი მატება დაახლოებით უდრის საფრანგეთისა და იტალიის მთელ ნათეს ფართობს ერთად.

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობა. განვლილი წლის მანძილზე რამდენადმე გადიდდა ყველა სახეობის პროდუქტიული პირუტყვის სულადობა. როგორც ცნობილია, 1953 წლის 1 იანვრისათვის ჩვენს ქვეყანაში იყო 24,3 მილიონი ძროხა, ხოლო 1954 წლის 1 ოქტომბრისათვის ძროხის სულადობა 27,5 მილიონს შეადგენდა, ესე იგი გადიდდა 3 მილიონით და უფრო მეტად, და მიაღწია ომამდელ სულადობას. განვლილ წელს გადიდდა აგრეთვე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და ცხვრის სულადობა, რომელიც კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირად საკუთრებაშია. მაგრამ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესები მოითხოვენ, რომ ყველა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციამ მეტი ზრუნვა გამოიჩინოს მეცხოველეობის განვითარებისათვის. არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ შარშან მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებში პირუტყვის გამოზამთრების არადამაკმაყოფილებელი პირობების გამო პირუტყვის სულადობა არათუ არ გადიდებულა, არამედ რამდენადმე კიდევაც შემცირდა. მომავალი ზამთრის პერიოდისათვის უნდა შევქმნათ საკვების საჭირო მარაგი, მივაღწიოთ მოზარდეულის სრულ შენარჩუნებას და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას, რათა გადიდდეს ხორცის, ერბო-კარაქის, რძის, მატყლის და მოსახლეობისათვის საჭირო სხვა პროდუქციის წარმოება.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის დიად ძალასა და სიცოცხლისუნარიანობას ცხადყოფს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელიც წელს გაიხსნა. გამოფენა, რომელიც საყოველთაო-სახალხო სკოლას წარმოადგენს, ეწევა სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე გამოცდილების, წარმოების ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდას. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია ჩამორჩენილი მეურნეობა, რომლებიც ცუდად, არარაციონალურად იყენებენ მიწას, მოჰყავთ მცირე მოსავალი, არა აქვთ მეცხოველეობის საკმაო პროდუქტიულობა. გამოფენის უდიდესი მნიშვნელობა ის არის, რომ იგი, გვიჩვენებს რა მოწინავე მეურნეობათა მუშაობის პროგრესულ მეთოდებს, ხელს უწყობს იმას, რომ ეს მეთოდები დაინერგოს ყველა დანარჩენ კოლმეურნეობაში, მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების წარმატებებს მოჰყვა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას საშინაო პოლიტიკის დარგში მთავარ ამოცანად მიაჩნიათ საბჭოთა ხალხის განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება.

მეხუთე ხუთწლედის ოთხ წელიწადში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1954 წლის დამლევისათვის 47 მილიონს მიაღწევს. ამასთან მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი დაახლოებით 74 პროცენტით დიდდება 1940 წელთან შედარებით, ხოლო თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის კულტურული და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის სახელმწიფო ხარჯების ზრდას, მუშათა და მოსამსახურეთა მთელი შემოსავალი ამ პერიოდში თითქმის ერთიორად გადიდდება. საბჭოთა მთავრობა სისტემატურად ახორციელებს ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებებს და, კერძოდ, საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებას. 1947-1954 წლების მანძილზე საცალო ფასები შვიდჯერ შემცირდა. ამის შედეგად საცალო ფასები 1954 წელს 1947 წლის ფასებზე ნაკლებია 2,3-ჯერ. საკოლმეურნეო ბაზრის ფასები ამავე პერიოდში შემცირდა თითქმის 4-ჯერ. ამან გამოიწვია მოსახლეობის მყიდველობითი უნარის მნიშვნელოვანი ზრდა. ამასთან დაკავშირებით საჭირო იყო ღონისძიებათა მიღება საქონელბრუნვის შემდგომი გაშლისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისათვის. სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებამ გამოიწვია მოსახლეობისათვის მისაყიდი საქონლის გამოშვების მნიშვნელოვანი ზრდა. ამ საქონლის საბაზრო ფონდები 1954 წელს 1950 წელთან შედარებით შემდეგი ოდენობით გადიდდა: ხორცის პროდუქტებისა და შაქრისა — თითქმის 1,9-ჯერ, თევზის პროდუქტებისა და ერბო-კარაქისა — თითქმის 1,6-ჯერ, მცენარეული ზეთისა — თითქმის 2-ჯერ, ბამბეულის, შალის, სელისა და აბრეშუმის ქსოვილებისა — 66 პროცენტით, ავეჯისა — 2,9-ჯერ.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბინაო პირობების გაუმჯობესებას. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საბინაო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ზრდას დაახლოებით ერთიორად წარსულ ხუთწლედთან შედარებით. ხუთწლედის უკვე ოთხ წელიწადში ეს დაბანდებანი 1,8-ჯერ გადიდდა. ოთხ წელიწადში ქალაქებსა და მუშათა დაბებში სახელმწიფო საბინაო მშენებლობის ხაზით აშენდება 86 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის ახალი საცხოვრებელი სახლები. გარდა ამისა, ქალაქებისა და მუშათა დაბების მოსახლეობა საკუთარი სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ააგებს 30 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის ახალ საცხოვრებელ სახლებს. მაგრამ მიღწეული წარმატებანი ვერ აკმაყოფილებენ ჩვენს მზარდ მოთხოვნილებებს. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იბრძოლებენ

(გაგრძელება მე-2 გვ.)

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავი

ამხ. მ. ზ. საბუროვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1954 წლის 6 ნოემბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

მშრომელთა საბინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მშრომელი მასების ცხოვრების დონის ამაღლებას მოწმობს აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის ფონდებისა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სოციალური უზრუნველყოფის ფონდების განუწყვეტელი ზრდა. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის საერთო განმტკიცებასთან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დასამზადებელი და შესასყიდი ფასების გადიდებასთან, გადასახადების შემცირებასა და წარსული წლების ნარჩენების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით წელს გადიდდა გლეხთა რეალური შემოსავალი.

ცოტა წარმატება როდია მოპოვებული სსრ კავშირის მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებაში. სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობა წლითიწლობით მატულობს. უმაღლესი სკოლის პირველ კურსზე წელს მიღებულია 450 ათასზე მეტი კაცი — ეს ყველაზე დიდი მიღება ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი სასწავლებლების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში.

პარტია და მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის, სოციალისტური კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების აყვავებისათვის, ჩვენი ხალხის სულიერი სიმდიდრის გამრავლებისათვის.

ლენინი გვასწავლიდა, რომ კომუნიზმი წარმოიშობა როგორც ხალხის მასების შეგნებული გარდამქმნელი მოღვაწეობის შედეგი. სოციალისტური შეგნება აჩქარებს საბჭოთა საზოგადოების წინსვლას. ამიტომ კომუნისტური პარტია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს აქტიურ ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთების, საბჭოთა ადამიანების შეგნებაში კაპიტალიზმის ყველა გადმონაშთის წინააღმდეგ. მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში უდიდეს როლს ასრულებს ჩვენი საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც მოწოდებულია შეიტანოს მასებში კომუნიზმის იდეები, აჩვენოს მოწინავე, პროგრესული, დაგმოს ჩამორჩენილი, ასახოს ხალხის ინტერესები, მისი გმირობა, თავდადება და შემოქმედებითი ღონისძიებანი. საბჭოთა მწერლების მომავალმა მეორე სრულიად საკავშირო ყრილობამ, რომელიც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ჩვენი საზოგადოებრიობის ცხოვრებაში, უნდა დასახოს ახალი ამოცანები საბჭოთა ლიტერატურის უფრო ნაყოფიერი განვითარების გზაზე.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის; და კულტურული დონის ამაღლების დარგში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება დამოკიდებულია ჩვენს მუშაობაზე, საქმის სწორ ორგანიზაციაზე, ყველა ჩვენი შესაძლებლობისა და შინარეზერვების გამოყენების უნარზე. უნდა გვახსოვდეს, რომ ვერავითარი გადაწყვეტილება, რაგინდ კარგად იყოს იგი შემუშავებული, ვერ უზრუნველყოფს დასახული ამოცანის შესრულებას, თუ არ არის აქტიური, მტკიცე ბრძოლა მისი განხორციელებისათვის.

საბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების დარგში, უპასუხა მათ ახალი საწარმოო აღმავლობით. სათავეში უდგანან რა მასების ინიციატივას და რაზმავენ რა მათს შემოქმედებითს ენერგიას, პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უფრო ფართოდ უნდა გაშალონ შეჯიბრება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, მტკიცედ განახორციელონ მომჭირნეობის რეჟიმი.

ფართოდ ცნობილია ლენინის დებულება, რომ შრომის ნაყოფიერება საბოლოო ანგარიშით ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს შრომის ნაყოფიერების გადიდების მნიშვნელოვან როლს კომუნიზმში ჩვენი ქვეყნის გადასვლისათვის.

1954 წელს შარშანდელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში დაახლოებით 7 პროცენტით დიდდება, ხოლო 1950 წელთან შედარებით — 33 პროცენტით. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის ასეთი ტემპი საკმარისი არ არის. მრეწველობის ზოგიერთ დარგში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყენებენ მდიდარ ტექნიკას, საკმაოდ ფართოდ არ ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, ცუდად წარმოებს ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში, ნელი ტემპით ინერგება მოწინავე გამოცდილება.

მრეწველობის მუშაობის ერთ-ერთი უდიდესი ნაკლია ის, რომ საწარმოები თანაბრად არ უშვებენ პროდუქციას. ბევრი ქარხანა და ფაბრიკა მუშაობს არარიტმულად და თვის განმავლობაში მეტად არათანაბრად უშვებს პროდუქციას. თვის პირველ ნახევარში საწარმოები მუშაობენ გაცილებით უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე თვის მეორე ნახევარში, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდაზე.

პარტიასა და მთავრობას მრეწველობის დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნიათ სამრეწველო საწარმოების უფრო თანაბარი მუშაობის უზრუნველყოფა და თვითეული ქარხნის, ფაბრიკის, შახტის, რკინიგზის მიერ საწარმოო პროგრამის შესრულება.

ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია უნაყოფო ხარჯები, მეტად დიდია სამმართველო აპარატის შენახვის ხარჯები, ბევრია სახალხო დოვლათისადმი უყაირათო, დაუდევარი დამოკიდებულების ფაქტები, იმის ფაქტები, რომ ვერ იჩენენ სოციალისტურ წარმოებაში არსებული რეზერვების სწორად გამოყენების უნარს.

საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ მუშაობის ნაკლოვანებებს, გაბედულად გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ ისინი, უნარიანად გადავლახოთ ყოველი სიძნელე. ჩვენი ძალა სწორედ იმაშია, რომ არ გვეშინია გამოვავლინოთ და გავაკრიტიკოთ ჩვენი ნაკლოვანებანი. საკუთარ ნაკლოვანებათა პატიოსნად აღიარება და მათი დროზე აღმოფხვრა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენი საბჭოთა წყობილების განმტკიცებას.

სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების ამოცანები მოითხოვს განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, უმკაცრესი კონტროლი გავუწიოთ შრომის ოდენობასა და მოხმარების ოდენობას, განუხრელად გამოვიყენოთ შრომის მიხედვით განაწილების პრინციპი და გავაძლიეროთ მუშაკთა მატერიალური დაინტერესება შრომის ნაყოფიერების გადიდებითა და საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდით. ამასთან ერთად სოციალისტური საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომითი რესურსების სწორი განაწილება, რათა ამ რესურსებს თავი მოვუყაროთ უმთავრესად წარმოების სფეროში, ესე იგი ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ახლა, როცა საბჭოთა ხალხი წყვეტს სახალხო მოხმარების დონის განუხრელი ამაღლების ამოცანებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის წილის გადიდებას მატერიალური წარმოების სფეროში და შრომითი რესურსების შემცირებას არასაწარმოო სფეროში. ამ მიზნით ჩვენში ხორციელდება სახელმწიფო აპარატის შემცირებისა და მისი სტრუქტურის გამარტივების გზა.

ხელმძღვანელობენ რა სახელმწიფოს მართვის ლენინური პრინციპებით, პარტია და მთავრობა ესწრაფვიან იმას, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი იყოს რაც შეიძლება უფრო ეკონომიური და მოსახლეობისათვის, უფრო მისაწვდომი, ეწევიან ბრძოლას ჩვენს დაწესებულებებში კანცელარიულობის, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის სხვა გამოვლინებათა აღმოფხვრისათვის, მშრომელთა ფართო მასებთან აპარატის ყველა რგოლის კავშირის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი ვ. ი. ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ საბჭოთა წყობილების ძალისა და სიმტკიცის საფუძველია მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი. მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირი ლენინს მიაჩნდა პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლეს პრინციპად, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის მთელი ჩვენი ძალების დაუშრეტელ წყაროდ. პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების დარგში ხელს შეუწყობენ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის კიდევ უფრო განმტკიცებას, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების ამაღლებას.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდესი მონაპოვარია მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შექმნა და განმტკიცება. ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის მრავალი ხალხი გაათავისუფლა ეროვნული ჩაგვრისაგან, შექმნა პირობები ჩვენს დიდ სამშობლოში მცხოვრები ყველა ხალხის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობისათვის, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულმა განხორციელებამ გამოიწვია ჩვენი ქვეყნის ყველა ერის ეკონომიური და კულტურული აღმავლობა, მათი შეკავშირება ერთიან ძმურ ოჯახად, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ცხადყვეს სსრ კავშირის ხალხებმა, როცა წელს აღნიშნეს რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის ღირსშესანიშნავი ისტორიული თარიღი. ეს დიდი დღესასწაული იყო არა მარტო უკრაინელი და რუსი ხალხებისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის, რომლებიც ურღვევი მეგობრობით არიან შეკავშირებულნი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით.

ჩვენი საშინაო მდგომარეობა ახლა უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე. მთელი საბჭოთა ხალხი აღსავსეა მტკიცე გადაწყვეტილებით იშრომოს თავისი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის. ხალხის დარაზმულობა პარტიისა და მთავრობის გარშემო, მისი ურღვევი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა იმის საწინდარია, რომ საბჭოთა კავშირი წარმატებით ივლის წინ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით.

• • •

ჩვენს ქვეყანაში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უდიდესი გაქანება, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის თანმიმდევრული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, თვალნათლივ მოწმობენ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კაცობრიობის ისტორიაში პირველად წარმოიშვა სახელმწიფო, რომლის საშინაო და საგარეო პოლიტიკა მთლიანად ემსახურება ხალხის მასების ინტერესებს, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. ამ პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც დიდმა ლენინმა ჩამოაყალიბა, დამყარებულია იმის აღიარებაზე, რომ შესაძლებელია სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობა, თუ ორივე მხარეს სურს ითანამშრომლონ, თუ მზად არიან შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი, თუ იცავენ თანასწორუფლებიანობისა და სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს.

განვლილ 37 წელიწადში საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა შორის საქმიანი თანამშრომლობა შესაძლებელია ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობა მათი ურთიერთ სარგებლობისათვის. არსებობს სრული შესაძლებლობა საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის ასეთი თანამშრომლობისა მომავალშიც. რამდენადაც ეს დამოკიდებულია საბჭოთა კავშირზე, შეიძლება ეჭვი არ შევიტანოთ, რომ სსრ კავშირი სხვა ქვეყნებთან თავის ურთიერთობას კვლავაც აიგებს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის აღნიშნული პრინციპების აღიარების საფუძველზე. მშვიდობის საქმე მხოლოდ მოიგებდა, რომ საბჭოთა კავშირის ამ ღონისძიებებს ასეთივე ღონისძიებებით უპასუხებდნენ სხვა სახელმწიფოები.

მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლა იყო და არის საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის საფუძველი. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ასეთი პოლიტიკა შეესაბამება არა მარტო საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების ხალხთა ინტერესებს, არამედ ყველა სხვა დიდი და პატარა სახელმწიფოს ხალხების ინტერესებსაც.

მაგრამ სწორი არ იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირის მისწრაფება მშვიდობისადმი მიეჩნიათ მისი სისუსტის ნიშნად. საბჭოთა სახელმწიფოს არაერთგზის და მეტად დამაჯერებლად დაუმტკიცებია, რომ მას უნარი შესწევს დაიცვას თავისი ინტერესები და უშიშროება. საბჭოთა ადამიანებს, როცა საჭიროა, უნარი შესწევთ იარაღითაც დაიცვან თავი ყოველი აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლაში. საჭირო არ არის მოვიყვანოთ ყველასათვის ცნობილი ფაქტები, რომლებიც, უეჭველია კარგად ახსოვთ არა მარტო ჩვენს მეგობრებს, არამედ ჩვენს მტრებსაც. ამასთან დაკავშირებით უცნაურია, მეტი რომ არა ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი მოღვაწის ცდები ელაპარაკონ საბჭოთა კავშირს ეგრეთწოდებული „ძალის პოზიციიდან". ასეთ ენას არასოდეს არა ჰქონია წარმატება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში. მით უმეტეს იგი უადგილოა ამჟამად, როცა სსრ კავშირმა, მისი მტრების აღიარებითაც კი, უფრო გაამრავლა თავისი ძალები და როცა საბჭოთა კავშირთან ერთად მშვიდობისათვის ბრძოლაში გამოდიან აზიის უდიდესი სახელმწიფო — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ყველა სახალხო-დემოკრატიული ქვეყანა, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის მშენებლობის გზას და საბჭოთა კავშირის მხარდამხარ მიდიან მშვიდობისა და პროგრესის ძალების ავანგარდში.

უკვე ათი წელიწადია წარმატებით მიდიან ამ გზით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხალხები. ათ წელიწადში ამ ქვეყნების სახე ისე შეიცვალა, რომ მათ ვეღარ იცნობთ. ახალი წყობილების გამარჯვებამ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შეუქმნა ეკონომიური და კულტურული განვითარების უდიდესი და წინათ უმაგალითო შესაძლებლობანი. დაადგნენ რა სოციალიზმის მშენებლობის გზას, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, ალბანეთის მშრომელებმა თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს თავიანთი შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველა დარგში.

ძირეულად შეიცვალა აგრეთვე ამ ქვეყნების საგარეოპოლიტიკური პოზიციები, გაძლიერდა მათი როლი საერთაშორისო ასპარეზზე. მრავალი ათეული წლის მანძილზე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები იყვნენ ობიექტი ინტრიგებისა და პროვოკაციებისა იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ, რომლებიც ხშირად იყენებდნენ მათ თავიანთი აგრესიული პოლიტიკის იარაღად. ამას სამუდამოდ მოეღო ბოლო. ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებმაც ახლა ნამდვილი დამოუკიდებლობა მოიპოვეს, აქტიურად იბრძვიან ხალხთა შორის მშვიდობისათვის.

მიმდინარე წლის ოქტომბერში გერმანიის მოწინავე ძალებმა ზეიმით აღნიშნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის — ნამდვილი დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს შექმნის პირველი ხუთი წლისთავი. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი აღინიშნა არა მარტო გერმანიაში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. ეს გასაგებიც არის, რადგან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, მისი სამეურნეო და პოლიტიკური წარმატებანი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია იმ ბრძოლაში, რომელსაც გერმანელი ხალხი აწარმოებს თავისი ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს მშენებლობისათვის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში.

ამას წინათ აღნიშნა თავისი ხუთი წლისთავი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ. თავისუფალი და დამოუკიდებელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა უდიდესი მოვლენა იყო არა მარტო ჩინეთის ისტორიაში, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიაშიც. ეს ისეთი ისტორიული ფაქტია, რომლის მნიშვნელობაც ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ. საბჭოთა ხალხს გულწრფელად ახარებს მოძმე ექვსასმილიონიანი ჩინელი ხალხის ისტორიული წარმატებანი, მისი მიღწევები ჩინეთში სახალხო-დემოკრატიული წყობილების შექმნასა და განმტკიცებაში. სახალხო ჩინეთის დიდი მონაპოვარი განმტკიცებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციით, რომელიც ამას წინათ მიიღო სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებამ, კონსტიტუციით, რომელმაც გამოაცხადა ჩინეთში სოციალიზმის მშენებლობის პრინციპები.

სამუდამოდ მოეღო ბოლო ჩინელი ხალხის წინანდელ მდგომარეობას, როცა უცხოელი იმპერიალისტები, მოღალატე ჩინელ რეაქციონერებთან შეთანხმებით ძარცვავდნენ დიდ ხალხს,ართმევდნენ მას ყოველგვარ დამოუკიდებელ როლს საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტაში. საერთაშორისო რეაქციის, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული წრეების წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც ნამდვილად დიდი სახელმწიფო და მშვიდობის მძლავრი ფაქტორი.

ურღვევი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა აკავშირებს ყველა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყანასა და საბჭოთა კავშირს. სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობა უმდიდრესი გამოცდილების წყაროა ყველა ხალხისათვის, რომლებიც ახლა დაადგნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით გახსნილ გზას.

დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრ ბანაკს, რომელმაც თავისი დროშების ქვეშ გააერთიანა 900 მილიონი კაცი, მის თანმიმდევრულ და შეუდრეკელ ბრძოლას მშვიდობისათვის მხურვალედ თანაუგრძნობენ და აქტიურად უჭერენ მხარს სულ უფრო ფართო საზოგადოებრივი წრეები კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. ამით პირდაპირ გამოხატულებას პოულობს ჩვენი დროის უდიდესი ისტორიული ძვრა, როცა მშვიდობის საქმეს ხალხები სულ უფრო მეტად იღებენ თავიანთ ხელში.

საბჭოთა კავშირის მეთაურობით მშვიდობის ძალების თანმიმდევრულ და მიზანდასახულ ბრძოლას ამ უკანასკნელ ხანს ერთგვარი დადებითი შედეგები მოჰყვა. ჩაქრა ომის საშიში კერა კორეაში. ჟენევის თათბირის წარმატებით დამთავრების შედეგად საომარი მოქმედება შეწყდა ინდოჩინეთში, რამაც შესაძლებელი გახადა ინდოჩინეთის საკითხის საბოლოო მოწესრიგება ინდოჩინეთის ხალხთა კანონიერი ეროვნული ინტერესების სათანადოდ გათვალისწინებით. ჟენევის თათბირის წარმატებამ ცხადყო აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უძლეველობა, ცხადყო მშვიდობის ბანაკის მზარდი ძალა, სადავო საერთაშორისო საკითხებზე დიპლომატიური მოლაპარაკების მეთოდის ეფექტიანობა.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაფართოვდა და კვლავაც ფართოვდება სსრ კავშირის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან, რაც უეჭველად უწყობს ხელს მთელი საერთაშორისო ვითარების ნორმალიზაციას.

უკანასკნელ ხანს გაუმჯობესდა ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა იუგოსლავიასთან. აღმოიფხვრა ზოგიერთი დაბრკოლება, რომელიც აფერხებდა სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციას, გადაიდგა ნაბიჯები, რათა განახლდეს ვაჭრობა და მოეწყოს ურთიერთობა კულტურულ და სხვა საკითხებში. იუგოსლავიის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის ითანამშრომლოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში, რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას,

(დასასრული მე-3 გვერდზე).

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავი

ამხ. მ. ზ. საბუროვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1954 წლის 6 ნოემბერს

(დასასრული)

მას ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესების სასარგებლოდ მიაჩნია გამოყენებულ იქნას ყველა შესაძლებლობა ნორმალური და მეგობრული ურთიერთობის დასამყარებლად. დავისა და შუღლის გამოვლინება, რაც უკანასკნელ წლებში იყო ჩვენს სახელმწიფოებს შორის ხელსაყრელი მხოლოდ სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მტრებისათვის, მშვიდობის მტრებისათვის. და პირიქით, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხებს შორის თანამშრომლობა და გულწრფელი მეგობრობა სავსებით შეესაბამება არა მარტო ჩვენი ქვეყნების ინტერესებს, არამედ მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებსაც. საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ კვლავაც ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის სრულ ნორმალიზაციას, იუგოსლავიის მოძმე ხალხებთან ჩვენი ხალხების ძველი მეგობრობის განმტკიცებას და იმედი აქვს, რომ იგი აქ სრულ ურთიერთგაგებას პოვებს იუგოსლავიის მხრივ.

საბჭოთა მთავრობის ცნობილ დებულებას, რომ შესაძლებელი და საჭიროა სადავო საერთაშორისო საკითხების გადაჭრა დაინტერესებულ ქვეყნებს შორის შეთანხმების საფუძველზე, მშვიდობის შემდგომი განმტკიცებისა და ხალხთა თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, სხვადასხვა ქვეყნის ფართო საზოგადოებრივი წრეები სულ უფრო მეტი გაგებითა და მხარდაჭერით ხვდებიან.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში მიღწეულ წარმატებებს უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ მთელი მსოფლიოს ხალხები, ამ წარმატებებმა ჩაუნერგა მათ კიდევ უფრო დიდი რწმენა თავისი ძალებისა და თავისი უნარისადმი — არ დაუშვან ახალი ომი, დაიცვან მშვიდობის საქმე.

საბჭოთა ხალხი დარწმუნებულია, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების შესაძლებლობანი სრულიადაც არ ამოწურულა, რომ ამ მიმართულებით მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული. ამასთანავე ჩვენ ნათლად გვაქვს წარმოდგენილი, რომ ამ გზაზეა სერიოზული დაბრკოლებანი, რომლებსაც ქმნიან ზოგიერთი სახელმწიფოს აგრესიული წრეები. ეს წრეები ახალ და ახალ მანევრებს მიმართავენ, რათა ხელი შეუშალონ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას, კვლავ აკოწიწებენ სამხედრო დაჯგუფებებს საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. ასეთი დაჯგუფებები იქმნება ევროპაში, აზიაში და მსოფლიოს სხვა რაიონებში, ამასთან მათს შეკოწიწებასთან ერთად ყოველთვის იქმნება ამერიკის ახალი და ახალი ბაზები სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე, მრავალ ათასობით კილომეტრ მანძილზე შეერთებული შტატების საზღვრებიდან.

მშვიდობის განმტკიცების ინტერესები ახლა ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან და საჭირბოროტო პრობლემად სახავენ შეიარაღების შემცირებასა და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას. ამ ამოცანების გადაწყვეტა არსებითად შეამცირებდა სამხედრო ხარჯებს, გადასახადთა ტვირთს, რომელიც მთელი სიმძიმით აწევთ მშრომელებს. მას, უეჭველია, მოჰყვებოდა მთელი საერთაშორისო ვითარების ძირეული გაუმჯობესება.

ატომის ენერგიის მიღება და გამოყენება ადამიანის გენიის დიდი მიღწევაა, რომელიც უდიდეს პერსპექტივებს სახავს საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების საქმეში, მაგრამ საიდუმლო როდია, რომ ზოგიერთი ქვეყნის გავლენიანმა წრეებმა მიზნად დაისახეს ომის გეგმების სამსახურში ჩააყენონ ატომის ენერგია. ხალხთა სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ, რომ ნგრევისა და ადამიანთა მასობრივი ჟლეტის მიზნით ატომის ენერგიის გამოყენება უსასტიკესად აიკრძალოს, რომ ბუნების ეს მძლავრი ძალა გამოყენებულ იქნას მხოლოდ და მხოლოდ აღმშენებლობისათვის, კაცობრიობის პროგრესის ინტერესებისათვის. როგორც ცნობილია, საბჭოთა მეცნიერებამ უკვე მიაღწია თვალსაჩინო შედეგებს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საქმეში: სსრ კავშირში უკვე მუშაობს ელექტროსადგური ატომის ენერგიით.

საბჭოთა კავშირი არ ანელებს თავის ღონისძიებებს ატომური იარაღის აკრძალვისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის ამ პოზიციასთან პირდაპირი კავშირი აქვს საერთაშორისო კონვენციის (ხელშეკრულების) ძირითად დებულებათა პროექტს, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გენერალური ასამბლეის განსახილველად და რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ აიკრძალოს ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღი, ამოღებულ იქნას ეს იარაღი სახელმწიფოთა შეიარაღებიდან, არსებითად შემცირდეს შეიარაღება და დაწესდეს საერთაშორისო კონტროლი ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი. საბჭოთა კავშირის წინადადება ითვალისწინებს კონკრეტულ, პრაქტიკულ ღონისძიებებს ამ საკითხების გადასაწყვეტად.

ჩვენ შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის ამ ახალ წინადადებას კეთილმოსურნეობით შეხვდნენ მსოფლიო საზოგადოებრიობის უაღრესად ფართო წრეები. მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ჯერამად არ კმარა მარტო იმის განცხადება, რომ დიდმნიშვნელოვანია საბჭოთა მთავრობის უკანასკნელი წინადადება. საჭიროა უფრო მტკიცე და აქტიური ბრძოლა იმის ცდების წინააღმდეგ, რომ შექმნან ახალი ჩიხი ამ საკითხების გადაჭრაში, ხელოვნურად შეუშალონ ხელი შეთანხმებას და ეცადონ არ შეამჩნიონ ის, თუ რა ახლოებს ქვეყნების პოზიციებს ამ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე მოლაპარაკებაში.

არ შეიძლება აგრეთვე სერიოზულად ილაპარაკობდე განიარაღებაზე და ამავე დროს ფართოდ უღებდე კარს რევანშისტულ ძალებს დასავლეთ გერმანიაში, აღადგენდე გერმანიის მილიტარიზმს. ევროპის ხალხთა მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხალია ჰიტლერელთა სისხლიანი ბატონობის დღეების მოგონებანი.

ახლო წარსულის ფაქტების მიხედვით ფართო საზოგადოებრივი წრეები გულისწყრომის გარდა ვერაფერს ვერ გამოიწვევს დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინების მომხრეთა მანევრები. ამასთან დაკავშირებით გვერდს ვერ ავუვლით გერმანიის საკითხზე გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიიღეს დასავლეთის სახელმწიფოთა ლონდონისა და პარიზის სეპარატულმა თათბირებმა.

მიუხედავად საბჭოთა კავშირთან ერთად ნაკისრი ვალდებულებებისა — არ დაუშვან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, უგულებელყოფენ რა ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი, დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებთან და რევანშისტებთან სეპარატულად შეთანხმდნენ დასავლეთ გერმანიაში ვერმახტის (არმიის) აღდგენის შესახებ. პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის შესახებ პირველ ხანებში ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის ნახევარმილიონიანი არმიის შექმნას. მაგრამ უკვე ახლა ბონის მთავრობა არ მალავს, რომ მას აქვს გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის კორპუსებისა და დივიზიების შექმნის გეგმები, ვიდრე ეს გათვალისწინებულია პარიზის შეთანხმებებით.

დასავლეთ გერმანიის შეიარაღების სამსახურისათვის უკვე მიმდინარეობს მისი მრეწველობის, მათ შორის რურის სამხედრო მრეწველობის გარდაქმნა, სწორედ იმ რურისა, რომელიც ჰიტლერული გერმანიის სამხედრო არსენალი იყო. დასავლეთი გერმანია შემოხვევით როდი აივსო მილიტარისტული და ფაშისტური ლიტერატურით, რომელიც აშკარად ქადაგებს ახალ ომს გერმანიის მეზობელი ევროპული სახელმწიფოების წინააღმდეგ. იქ სულ უფრო მეტ გავლენას იძენენ სწორედ ის ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ იყვნენ ორგანიზატორები ჰიტლერული აგრესიისა საფრანგეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

ამრიგად, ლონდონისა და პარიზის გადაწყვეტილებანი იწვევენ დასავლეთ გერმანიის გადაქცევას მილიტარისტულ სახელმწიფოდ. არ შეიძლება მხედველობაში არ ვიქონიოთ ისიც, რომ, პარიზის შეთანხმებათა მიხედვით, დასავლეთ გერმანიის არმიას შესაძლებლობა ეძლევა ატომური იარაღიც იქონიოს. გარდა ამისა, ამ შეთანხმებებში პირდაპირ ნათქვამია, რომ დასავლეთ გერმანიაში გაჩაღდება მუშაობა ატომის გამოკვლევის დარგში.

დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობები, როგორც ჩანს, ივიწყებენ, რომ დასავლეთ გერმანიის შეიარაღება უდიდესი საფრთხეა ევროპის ხალხებისა და მთელი კაცობრიობისათვის, რადგან დასავლეთ გერმანიის მილიტარისტულად განწყობილ მმართველ წრეებს სხვა სახეობის შეიარაღებასთან ერთად ახლო მომავალში ექნებათ აგრეთვე ატომური იარაღი და ისინი, უეჭველია, შეეცდებიან გამოიყენონ ეს იარაღი თავიანთი რევანშისტული, აგრესიული მიზნებისათვის.

დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ბეჯი პოლიტიკოსი ეწევა იმ ყალბი თეზისის პროპაგანდას, რომ თითქოს ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგ გაუმჯობესდება გერმანიის საკითხზე ოთხი სახელმწიფოს შეთანხმების მიღწევის შანსები. მაგრამ მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანებს შეუძლიათ დაიჯერონ ასეთი მტკიცებანი. ნამდვილად კი პარიზისა და ლონდონის შეთანხმებათა რატიფიკაცია და განხორციელება ახალ დაბრკოლებებს შეუქმნის გერმანიის პრობლემაზე შეთანხმებას, გააღრმავებს გერმანიის არსებულ გათიშვას და დიდი ხნით დატოვებს გერმანელ ერს გათიშულ მდგომარეობაში.

ევროპის მშვიდობის ინტერესები, ისევე როგორც თვით გერმანელი ხალხის ინტერესები, მოითხოვს გერმანიის ერთიანობის დაუყოვნებლივ აღდგენას მშვიდობისმოყვარეობის და დემოკრატიულ საწყისებზე და ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას. ეს ინტერესები აგრეთვე მოითხოვენ, რომ ნაცვლად კარდახშულ სამხედრო დაჯგუფებათა ორგანიზაციისა რემილიტარიზებული დასავლეთი გერმანიის მონაწილეობით, ევროპაში შეიქმნას კოლექტიური უშიშროების სისტემა. უშიშროების ასეთი სისტემა, შექმნილი ევროპის ყველა სახელმწიფოს ერთობლივ ღონისძიებათა საფუძველზე, შეესაბამება ხალხთა საარსებო ინტერესებს, რადგან ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

საბჭოთა ადამიანები მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ ცხოვრების გამოცდას გაუძლებს ამა თუ იმ საერთაშორისო პრობლემის მხოლოდ ისეთი გადაწყვეტა, რომელიც ფხიზლად უწევს ანგარიშს მსოფლიოში მომხდარ ისტორიულ ცვლილებებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორედ ეს პრინციპი, რომელიც მისაღები და ხელსაყრელია ყველა ქვეყნისათვის, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი სისტემებისა, საფუძვლად უნდა დაედოს მოუწესრიგებელი საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტას, მათ შორის ევროპასა და აზიაში.

* * *

ამხანაგებო! რაც უფრო მეტი ხანი გვაშორებს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, მით სულ უფრო სრულად და ყოველმხრივ იჩენს თავს მისი გიგანტური გარდამქმნელი გავლენა მთელი კაცობრიობის ისტორიულ ბედზე.

საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანმა 37 წლის ისტორიამ ურყევი ძალით ცხადყო სოციალიზმის განუზომელი უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე და მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისძლე მოძღვრების ნამდვილი ზეიმი.

ჩვენი გზა სწორია. და მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ჩვენი განუხრელი წინსვლა. დიდი ოქტომბრის გაკაფული გზით ჩვენთან ერთად მიდიან მოძმე ჩინელი ხალხი და ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა მრავალმილიონიანი მასები. მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ჩვენს საერთო საქმეს მხურვალედ თანაუგრძნობს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი დიდი ისტორიული მისიით და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გადალახოს ყველა დაბრკოლება, რომლებიც მის გზაზეა, მოიპოვოს ახალი და ახალი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილ დროშას!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს — მთელი მოწინავე კაცობრიობის ნებრძოლ ავანგარდს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მტკიცე რწმენით მიჰყავს ჩვენი ქვეყანა წინ — კომუნიზმისაკენ!

გაუმარჯოს მშვიდობას ხალხთა შორის!

(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. დარბაზში გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!". „ვაშა").

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს თ ა ვ დ ა ც ვ ი ს მ ი ნ ი ს ტ რ ი ს ა

1954 წ ლ ი ს 7 ნ ო ე მ ბ ე რ ი № 187 ქ. მ ო ს კ ო ვ ი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მასთან ერთად ჩვენი მამაცი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი დღესასწაულობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს.

ამ ისტორიულ დღეს ჩვენი სამშობლოს მშრომელნი, ისევე როგორც ყოველთვის, ხვდებიან ახალი მიღწევებით სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. წარმატებით სრულდება სამრეწველო წარმოების სახელმწიფო გეგმები. აღმავლობის გზაზეა სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარება. ეკონომიკის განუწყვეტელი ზრდის საფუძველზე უმჯობესდება საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობა.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის მეოხებით ჩვენი შეიარაღებული ძალები აღჭურვილი არიან თანამედროვე სახეობათა იარაღით და საბრძოლო ტექნიკით. სახმელეთო ჯარების, ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირადმა შემადგენლობამ ახალ წარმატებებს მიაღწია მხედრული ოსტატობისა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში.

გასული წლის მანძილზე მიღწეულია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძალთა შემდგომი და სერიოზული განმტკიცება. კიდევ უფრო განმტკიცდა საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ძმური მეგობრობა.

ერთგულად იცავს რა მშვიდობის პრინციპებს, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციამ გამოაცხადა, საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობისა და საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას.

სხვანაირია წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკა. მათს პოლიტიკას საფუძვლად უდევს ახალი ომის მომზადება, აგრესიული სამხედრო ბლოკების შეკოწიწება, გამალებული შეიარაღება, ხალხთა შორის მტრობისა და სიძულვილის გაღვივება.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უშიშროების ინტერესებისათვის ჩვენ კვლავაც უნდა გამოვიჩინოთ დიდი სიფხიზლე, სრულვყოთ ყველა გვარეობის ჯარის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება და გულმოდგინედ განვამტკიცოთ ჩვენი შეიარაღებული ძალების ძლიერება, რათა მუდამ მზად ვიყოთ გადამწყვეტი წინააღმდეგობა გავუწიოთ ყოველ აგრესორს.

ვულოცავ არმიისა და ფლოტის პირად შემადგენლობას საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს და ვუსურვებ ყველა მეომარს შემდგომ წარმატებებს საბრძოლო ტექნიკის დაუფლებაში, საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებასა და მხედრული დისციპლინის განმტკიცებაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 7 ნოემბერს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე კალინინგრადში, ლვოვში, ხაბაროვსკში, ვლადივოსტოკსა და გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, სტალინგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნეს სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს ძლევამოსილ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხსა და მის სახელოვან შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!

დიდება საბჭოთა კავშირის ბრძენ კომუნისტურ პარტიას!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი **ნ. ა. ბულგანინი**

გუშინ სსრ კავშირის დიდ თეატრში

საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს. ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ქალაქები და სოფლები სადღესასწაულოდ მორთულან. დიდებულია თავისი მორთულობით მოსკოვი, ქარი აფრიალებს ოქროსფოჩიან წითელ დროშებს. შენობებზეა ვ. ი. ლენინის, ი. ბ. სტალინის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები. ყველგან წითლად კიაფობენ ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი.

სადღესასწაულოდ მორთულა სსრ კავშირის დიდი თეატრი. მის ფრონტონზეა წითელი დროშები მოკავშირე რესპუბლიკათა გერბებით, რომელნიც განასახიერებენ ხალხთა მეგობრობას — საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების წყაროს. ფასადზეა მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის უზარმაზარი პორტრეტები.

ლამაზად გაფორმებულია თეატრის დარბაზი და სცენა. სცენის სიღრმეში დროშებშია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბარელიეფი.

ოქროს ვარაყით ბრწყინავს ნახევარრკალად დაწერილი სიტყვები „გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს!". ორივე მხარეზეა ღირსშესანიშნავი თარიღი „1917" და „1954".

6 ნოემბერს დიდი თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ მოსკოვის საწარმოთა, მშენებლობათა მოწინავე მუშები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები, მინისტრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები.

ესწრებიან უცხო ქვეყნების დელეგაციები.

საღამოს 7 საათია. მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომაზე შეკრებილნი მქუხარე ტაშით მიესალმებიან პრეზიდიუმში ამხანაგების ნ. ა. ბულგანინის, კ. ე. ვოროშილოვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, გ. მ. მალენკოვის, ვ. მ. მოლოტოვის, ა. ი. მიქოიანის, მ. გ. პერვუხინის, მ. ზ. საბუროვის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. მ. შვერნიკის, მ. ა. სუსლოვის, პ. ნ. პოსპელოვის, ნ. ნ. შატალინის გამოჩენას.

მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომას პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავისადმი, თავმჯდომარე ამხ. მ. ა. იასნოვი გახსნილად აცხადებს.

სიტყვა მოხსენებისათვის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის შესახებ ეძლევა ამხ. მ. ზ. საბუროვს, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად ხვდებიან.

— დღეს საბჭოთა კავშირის ხალხები და მთელი მსოფლიოს მშრომელები, — ამბობს მომხსენებელი, — დღესასწაულობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს. ამ რევოლუციით დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ერა, თავისუფალ, მშვიდობიან და ბედნიერ ცხოვრებაზე კაცობრიობის გადასვლის ერა.

37 წლის წინათ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კაცობრიობის გენიოსის ვ. ი. ლენინის მეთაურობით ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში მოახდინა სოციალისტური რევოლუცია. ამის შედეგად შეიქმნა მსოფლიოში პირველი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო. ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციამ და სოციალიზმის აშენებამ ცხადყო, რომ სწორედ ხალხის ფართო მასებს ეკუთვნით გადამწყვეტი როლი ძველ სამყაროზე გამარჯვებაში, სოციალისტური საზოგადოების შექმნაში.

მომხსენებელმა მკაფიოდ დაასაბუთა ის უდიდესი მიღწევები, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა განვლილ წელს ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში, რასაც შეკრებილნი დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა წარმატებით ახორციელებენ პოლიტიკას, რომლის მიზანია საბჭოთა საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომი მძლავრი განვითარება, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესება.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა მრეწველობის პროდუქციის გადიდებას ხუთ წელიწადში ითვალისწინებდა დაახლოებით 70 პროცენტით. ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულება გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ხალხის გმირული შრომის მეოხებით უკვე ოთხ წელიწადში მრეწველობის პროდუქცია 1950 წელთან შედარებით გადიდდება 63 პროცენტით. ეს ნიშნავს, რომ მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა ვადამდე შესრულდება.

მოხსენებაში მოყვანილი ციფრები და ფაქტები დამაჯერებლად ცხადყოფენ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობის და იმ ღონისძიებათა პროგრამის წარმატებით შესრულებას, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის, ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებში, და რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის ზრდას. მომხსენებელმა ილაპარაკა საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმზე, რომლებიც პარტიის მოწოდებით გაემგზავრნენ ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად, იმაზე, რომ მრეწველობის მუშაკები აძლიერებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის ტექნიკურ აღჭურვას. ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვედიდებინა ნათესი ფართობები, აგვემაღლებინა მინდვრების მოსავლიანობა, წინ წაგვეწია მეცხოველეობის განვითარება. მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში, მარცვლეული კულტურების მოსავლის საერთო რაოდენობა 1954 წელს მეტი იქნება, ვიდრე შარშან. გასულ წელს რამდენადმე გადიდდა ყველა სახეობის პროდუქტიული პირუტყვის სულადობა.

შემდეგ ამხ. საბუროვი ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებაზე. მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი 1940 წელთან შედარებით წელს დაახლოებით 74 პროცენტით გადიდდება, ხოლო თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფო ხარჯების ზრდას მოსახლეობის კულტურული და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის, მუშებისა და მოსამსახურეების მთელი შემოსავალი ამ პერიოდში თითქმის ერთიორად გადიდდება. გადიდდა კოლმეურნეთა შემოსავალი.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით ეხება ამოცანებს, რომლებიც დასახულია საბჭოთა ხალხის წინაშე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების წყაროა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, რომელიც სულ უფრო მტკიცდება. პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თანმიმდევრულად ახორციელებენ ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკას, რამაც უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის ყველა ერის ეკონომიური და კულტურული აღმავლობა, ერთიან ძმურ ოჯახად მათი დარაზმვა.

ამხ. საბუროვმა მოხსენების დასკვნითი ნაწილი მიუძღვნა საგარეო პოლიტიკის საკითხებს, საგარეო პოლიტიკისა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოში მთლიანად ემსახურება ხალხის მასების ინტერესებს, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლა საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის საფუძველი იყო და ახლაც არის. ურღვევი მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა აკავშირებს ყველა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყანასა და საბჭოთა კავშირს. დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი თავისი დროშების ქვეშ აერთიანებს ცხრაას მილიონ კაცს. საბჭოთა კავშირის მეთაურობით მშვიდობის ძალების თანმიმდევრულ და მიზანდასახულ ბრძოლას ამ უკანასკნელ ხანს გარკვეული დადებითი შედეგები მოჰყვა.

საბჭოთა სახელმწიფოს სახელოვანმა ოცდაჩვიდმეტი წლის ისტორიამ, ამბობს მომხსენებელი, ურყევი ძალით ცხადყო სოციალიზმის განუზომელი უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე. იგი მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ყოვლისშემძლე მოძღვრების ნამდვილი გამარჯვებაა. ჩვენი გზა სწორია, და მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ჩვენი განუხრელი წინსვლა. იმ გზით, რომელიც დიდმა ოქტომბერმა გაკაფა, ჩვენთან ერთად მოდიან ჩინელი ხალხი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა მრავალმილიონიანი მასები. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ჩვენს საერთო საქმეს მხურვალედ თანაუგრძნობს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

როცა მომხსენებელი დასასრულ გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა ხალხს, კომუნისტურ პარტიას, ხალხთა შორის მშვიდობას, შეკრებილნი ამ სიტყვებს ხვდებიან მქუხარე ტაშით, რომელიც ოვაციად იქცევა.

• • •

საზეიმო ნაწილის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსკოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მსახიობებმა და შემოქმედებითმა კოლექტივებმა.

კონცერტი დაიწყო დ. შოსტაკოვიჩის „სადღესასწაულო უვერტიურით", რომელიც შეასრულა სსრ კავშირის დიდი თეატრის ორკესტრმა. შემდეგ სსრ კავშირის დიდი თეატრისა და სრულიად საკავშირო რადიოს მომღერალთა კოლექტივებმა აღმავლობით შეასრულეს რევოლუციური სიმღერა „გაბედულად გავწიოთ წინ ამხანაგებო". მკაფიო მეტყველებით წაიკითხა ვ. მაიაკოვსკის ლექსი ლენინზე რუსეთის სფსრ დამსახურებულმა მსახიობმა ს. ბალაშოვმა.

კონცერტში გამოვიდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ე. გილელსი, ლატვიის სსრ დამსახურებული არტისტი ე. გეინე-ვაგნერი, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი ა. ოგნივცევი. ამავე თეატრის სოლისტები ნ. სოკოლოვა და ლ. ავდეევა, კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ე. ჩავდარი, ... ოხიმკოვსკაია, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი გ. გასპარიანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ლემეშევი, ყაზახეთის სსრ დამსახურებული არტისტი რ. ბაგლანოვა, მეჭიანეთა ანსამბლი, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

წარმატება ხვდათ სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის სოლისტებს ლ. ბოგომოლოვას, ლ. ივანოვას, ა. ივანოვას, ნ. ნიკიტინას, ტ. ტუჩნინას, ნ. ფედოროვას, ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბალეტის სოლისტს ნ. პეტროვას, უზბეკეთის სსრ სახალხო არტისტს უზბეკური ცეკვის შემსრულებელ გ. იზმაილოვას, აგრეთვე ესტრადის მსახიობებს ვ. სკვორცოვასა და სირაის.

კონცერტში მრავალფეროვანი პროგრამით გამოვიდნენ ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა", ომსკის რუსული ხალხური გუნდი, საქართველოს სსრ მეჩონგურეთა ანსამბლი, აგრეთვე საბჭოთა არმიის ა. ვ. ალექსანდროვის სახელობის სიმღერისა და ცეკვის წითელდროშოვანი ანსამბლი.

დასასრულ კონცერტის მონაწილეთა გაერთიანებულმა გუნდმა და სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტებმა იმღერეს ს. ტულიკოვის სიმღერა „ყველას მშვიდობა გვინდა". (საქდესი).

საზეიმო სხდომა თბილისში, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავისადმი

გუშინ, 6 ნოემბერს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავისადმი.

თეატრის დარბაზი ლამაზად არის მორთული. აქ შეიკრიბნენ ფაბრიკა-ქარხნებისა და მშენებლობათა მოწინავე მუშაკები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

სცენის სიღრმეში, დროშებში, რომლებთანაც ვახტზე დგას სამხედრო ყარაული, არის კაცობრიობის გენიოსის — უკვდავი ლენინისა და მისი საქმის განმგრძობის დიდი სტალინის პორტრეტები, გ. მ. მალენკოვისა და ნ. ს. ხრუშჩოვის პორტრეტები.

მკაფიოდ ჩანს ციფრი „XXXVII", რომელიც მოგვაგონებს ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვან 37 წლის გზას, რაც საბჭოთა სახელმწიფომ განვლო.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ი. ი. ფედიუნინსკი, მ. პ. გიორგაძე, ო. დ. გოცირიძე, დ. ვ. მჟედლიშვილი, მ. ი. კუპავა, ა. ლ. გუნია, მ. მ. ლელაშვილი, ა. ნ. ინაური, ე. ა. სეხნიაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე, მინისტრები, გენერლები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები და სხვები.

საზეიმო სხდომას ხსნის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. კ. მაღრაძე.

ასრულებენ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. დ. ვ. მჟედლიშვილს.

მომხსენებელი ლაპარაკობს, თუ რა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რა სახელოვანი გზა განვლო საბჭოთა სოციალისტურმა სახელმწიფომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 37 წლის მანძილზე. პარტია განუხრელად მიუძღვის ჩვენს ქვეყანას ლენინის მიერ ნაჩვენები გზით.

მეტად დიდია კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მიღწევები. განუწყვეტლივ იზრდება და მტკიცდება სოციალისტური ეკონომიკა და კულტურა. საბჭოთა ადამიანები თავდადებით ახმარენ თავიანთ ძალებს კომუნიზმის საქმეს. კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომლის მიზანია ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, მხურვალედ უჭერს მხარს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი. წარმატებით ხორციელდება პარტიის მითითებანი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის, სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების გადიდების შესახებ.

მომხსენებელი ლაპარაკობს, თუ რა წარმატებანი მოიპოვეს საქართველოს მშრომელებმა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის, ჩვენი სამშობლოს ხალხების ძმური დახმარებით. იგი ეხება საკითხებს, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დგას პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

მომხსენებელი ეხება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის უდიდეს წარმატებებსა და მიღწევებს, ბანაკისა, რომელსაც სათავეში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი. დიდი წარმატებანი მოიპოვა საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულმა პოლიტიკამ, რომელიც თანმიმდევრულად ხორციელდება. მას მხურვალედ უჭერს მხარს მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით მშრომელი.

დარბაზი მქუხარე ხანგრძლივ ოვაციას მართავს, როცა მომხსენებელი გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა ხალხს, ჩვენს დიად სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას, რომელიც ლენინ—სტალინის ყოვლისშემძლე დროშით მიუძღვის ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

დარბაზში გაისმის საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნის მელოდია.

• • •

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-88-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 15457